ბრძანება

ქ. თბილისი

N 1470-03
01/04/2020

“2018-2019 სასწავლო წლისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებზეც პრიორიტეტული პროგრამული მიმართულების ფარგლებში სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო, ჩამონათვალისა და ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ” სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 31 ოქტომბრის N3503-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 24 ოქტომბრის N45/ნ ბრძანების მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 31 მარტის MES 9 20 00323424 (უნივერსიტეტში შემოსული: 01.04.2020; N5920/35) და 1 აპრილის MES 5 20 00325022 წერილის (უნივერსიტეტში შემოსული: 01.01.2020 N5929/35) საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 31 ოქტომბრის N3503-03 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად, დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და აღნიშნულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობა, რომელზეც სწავლის საფასურს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულების ფარგლებში სრულად დააფინანსებს სახელმწიფო:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებები: ქართული ფილოლოგია(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)- 89 ადგილი;

ბ) ჰუმანიტარული მეცნიერებები: ისტორია(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)- 69 ადგილი;

გ) ჰუმანიტარული მეცნიერებები: არქეოლოგია(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)-49 ადგილი;

დ)ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)-14 ადგილი;

ე) მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)- 48 ადგილი;

ვ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)-14 ადგილი;

ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბიოლოგია(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)-55 ადგილი;
თ) არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა) – 34 ადგილი;
კ) დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები) (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) – 28 ადგილი.“
2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს,იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი